UNITED STATES AND GEORGIA
CELEBRATING THIRTY YEARS OF PARTNERSHIP

GCSD

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის მეთოდები და ინსტრუმენტები

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის მეთოდები და ინსტრუმენტები

ავტორი: გვანცა აბესაძე

თბილისი, 2023

შესავალი

თანამედროვე პერიოდში სახელმწიფოები და მათი შეიარაღებული ძალები, ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური გამოწვევების წინაშე დადგნენ. ეს კომპლექსურობა, განსაკუთრებით ცხადი, 2022 წლის თებერვალში გახდა, მას შემდეგ რაც რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა და მის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას დაემუქრა. მნიშვნელოვანია ამ პროცესში პარტნიორი სახელმწიფოების მობილიზაცია, მხარდაჭერა და გატარებული ღონისძიებები, რომლებიც უპირობოდ უკრაინის დაცვისაკენ იყო მიმართული. ეს გამოიხატებოდა სხვადასხვა ეკონომიკურ სანქციასა თუ სამხედრო დახმარებაში. თუმცა, აუცილებელია ვისაუბროთ მანამდე არსებულ მდგომარეობასა და საინფორმაციო ომზე, როგორც რუსეთის ერთ-ერთ მთავარ იარაღზე უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლიდან პერიოდულად მიმდინარეობდა, 2022 წლის დასაწყისში, განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში გადავიდა.

რუსეთის დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნეები

გლობალიზაციამ და თანამედროვე ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების მეთოდები, შესაბამისად, საკუთარი მიზნების დროის მოკლე მონაკვეთში მიღწევისათვის, საერთაშორისო პოლიტიკაში აქტუალური გახდა საინფორმაციო მანიპულაციების გამოყენება. თუკი დავაკვირდებით პოლიტიკური პროცესების განვითარების ეტაპებს, კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ უკრაინის მიმართ რუსული აგრესია, ჯერ კიდევ 2014 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდგომ დაიწყო და იგი „საინფორმაციო შტურმს“ გულისხმობდა, რომლის მთავარი აუდიტორია შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ:

- უკრაინელი ხალხი;
- საერთაშორისო საზოგადოება;
- რუსეთის მოქალაქეები, როგორც საერთო განწყობის შექმნისათვის აუცილებელი რგოლი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რუსეთმა ჯერ კიდევ უკრაინაში უკანონო შეჭრამდე დაიწყო საინფორმაციო კამპანიის აქტიური წარმოება, რომლის მთავარ მიზანს, უკრაინელი სამხედროების დისკრედიტაცია და რუსეთის ძალადობრივი მოქმედებების მათზე გადაბრალება წარმოადგენდა, რაც,

თავის მხრივ, იქნებოდა საბაბი გაემართლებინა საკუთარი აგრესია უკრაინის მიმართ. (Haynes, 2022)

რუსეთის მიერ გამოყენებული საინფორმაციო ომის ინსტრუმენტები და წყაროები:

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი ორი ძირითადი ინსტრუმენტის გამოყენებით აწარმოა, პირველ ყოვლისა ეს იყო მედიაგარემოსა და სატელევიზიო არხების გამოყენება. მასში აქტიურად იყო ჩართული უშუალოდ ვლადიმერ პუტინის ხელშეწყობით დაარსებული არხი RT (Russia Today), რომელიც მაუწყებლობას ყველა მთავარ საერთაშორისო ენაზე ახორციელებს და დაუფარავად აჟღერებს კრემლის გზავნილებს ყირიმის ანექსიის ოპერაციიდან დღემდე. RT-ს წამყვანები ყირიმში შეჭრილ რუს სამხედროებს ძირითადად „სტაბილიზაციის ძალებად“ მოიხსენიებდნენ, რომელთა მთავარ ამოცანას რუსი მოსახლეობის „უკრაინელი ფაშისტებისაგან დაცვა“ წარმოადგენდა. ეს რიტორიკა, განსაკუთრებით 2022 წლამდე რამდენიმე თვით ადრე გაძლიერდა. რუსული მედია საშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „უკრაინული მხარე ემზადებოდა თავდასხმისათვის“, რომლის გავრცელება, 2022 წლის იანვრის ბოლოსათვის, თითქმის ორჯერ აღემატებოდა წინა პერიოდებს. (DFRLab, 2022)

უკრაინის წინააღმდეგ, რბილი ძალის პოლიტიკა, მოსახლეობაში დეზინფორმაციის გავრცელებისა და მისთვის ხელსაყრელი განწყობების შესაქმნელად, რუსეთის მხრიდან ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა, რასაც გარდა მედიასაშუალებებისა, სხვადასხვა ორგანიზაციების გამოყენებით ცდილობდა. მათ შორის, კრემლის მიერ დაფინანსებული კულტურული და სათვისტომო ჯგუფები კიევში, დონეცკში, ლუჰანსკსა და სხვა ქალაქებში. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვეუწყება „Россотрудничество“, რომელიც პასუხისმგებელია დსთ-ს ქვეყნებისა და იქ მცხოვრები რუსულენოვან დიასპორასთან ურთიერთობებზე.

რუსეთის მიერ წარმოებულ საინფორმაციო ომში, გარდა კრემლის მიერ მართული ტელეარხებისა, სოციალური მედიის გავლენის ზრდიდან გამომდინარე, რუსული უსაფრთხოების სამსახურები დიდი წარმატებით იყენებდნენ ე.წ. „ტროლების არმიის“ დახმარებას. სადაც, მათ მიერ მართული ორგანიზებული ინტერნეტმომხმარებლების ჯგუფები აქტიურად ეწეოდნენ ჯერ უკრაინის, ხოლო შემდგომ უკვე საერთაშორისო მედიის დისკრედიტაციას. მათი მასობრივი შეტევა და კონკრეტული მოვლენისადმი გამოთქმული კომენტარები იშვიათად, თუმცა მაინც ახერხებდა ეჭვქვეშ

დაეყენებინა ფაქტის ნამდვილობა და მისი „დასავლური პერსპექტივიდან“ გაშუქების მცდელობა. ამის ნათელ მაგალითს, ომის საწყის ეტაპზე, ბლოგერ მარიანა პოდგურსკაიას ყალბ ფეხმძიმობაში დადანაშაულება წარმოადგენდა, რომლის ფოტოც მარიუპოლის დაბომბვის შემდგომ გავრცელდა. (მედიის განვითარების ფონდი, 2022) მეორე მსგავსი შემთხვევა კი ბუჩის ტრაგედიასა და ამ ყველაფერში რუსეთის ბრალეულობის უარყოფასთან იყო დაკავშირებული, სადაც პროპაგანდისტულ მედიასთან ერთად ჩართული იყო ფეისბუკ ანგარიშები, რომლებიც სოციალურ ქსელში ცდილობდნენ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. „იმის საილუსტრაციოდ, რომ უკრაინა მსხვერპლს აყალბებს, გამოყენებული იყო ვიდეომანიპულაციები, სადაც ერთ შემთხვევაში რუსი რეპერის ჰასკის კლიპის გადაღების ის ფრაგმენტი იყო ნაჩვენები, რომელშიც მიცვალებულის როლის შემსრულებელი სიგარეტს ეწევა. ხოლო მერე შემთხვევაში, ავსტრიაში, კლიმატის ცვლილებების გასაპროტესტებლად გამართული სიმბოლური პერფორმანსის კადრები, რომელშიც აქციის მონაწილე გვამი მოძრაობს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ბოლო ვიდეო ორი განსხვავებული აღწერით გავრცელდა, ხოლო ჰასკის ვიდეო ომამდე პანდემიის დროს კორონავირუსის უარყოფისთვის გამოიყენებოდა“. (მედიის განვითარების ფონდი, 2022)

შესაბამისად, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის მეთოდები, რამდენიმე მიმართულებას ატარებდა და მოიცავდა როგორც ტელეარხებს, აგრეთვე სოციალურ მედიასა და გასართობ პლატფორმებსაც კი როგორიცაა: Музыка 80-90-00э’s და Россия 1, რაც რუსულ მხარეს საშუალებას აძლევდა თავი აერიდებინა მედიამონიტორინგისთვის. ნეიტრალური დამკვირვებლების მოსაზრების გადმოსაცემად და ე.წ. „დასავლეთის გამოფხიზლების“ (Запад начинает прозреват) დასტურად კი სხვადასხვა ინგლისურენოვანი ექსპერტების (გონზალო ლირა, სკოტ რიტერი) მოსაზრებები მოჰყავდათ, რომელთა ტირაჟირებაში აქტიურად იყო ჩართული არა მხოლოდ კრემლის მიერ მართული ტროლები და „ფეიკ ექაუნთები“, უშუალოდ უცხოეთში მოქმედი რუსეთის საელჩოების ფეისბუკ ანგარიშებიც.

კრემლის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაციული გზავნილები:

მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ იმ მითებსა და გზავნილებზეც, რომელსაც ომის დაწყებამდე და შემდეგ უშუალოდ პროცესში, რუსეთი ცდილობდა დაემკვიდრებინა არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებში, არამედ საერთაშორისო საზოგადოებასა და უკრაინაში მცხოვრებ პრორუს მოსახლეობაში. ომის დაწყებამდე რუსეთის ნარატივი ძირითადად დამყარებული იყო შემდეგ მტკიცებებზე, რომ:

- „უკრაინაში არ არიან რუსი სამხედროები“.

რაც ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ჯერ კიდევ ყირიმის ანექსიიდან, 2014 წლიდან უარყოფდა ამ პროცესში საკუთარ კავშირს. სამხედრო ფორმებთან დაკავშირებით მარტში გამართულ პრესკონფერენციაზე, ვლადიმერ პუტინმა, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს დააბრალა, რომ მსგავსი სამხედრო ფორმების შეძენა ამ ქვეყნებში ნებისმიერს შეეძლო, უკვე შემდგომ, ზაფხულის პერიოდში კი უკრაინის მიერ რუსი სამხედროების დაკავებისას, რუსეთი აცხადებდა რომ მათ უბრალოდ გზა აებნათ და უკრაინის საზღვარი შემთხვევით გადაკვეთეს. (Realpolitika.ge, 2022)

- „უკრაინაში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა განსაცდელშია“.

რუსული პროპაგანდის ანალიზი ნათლად აჩვენებდა რომ, რუსულენოვან უკრაინელებში პანიკისა და შფოთვის დათესვა ჰიბრიდული ომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. ომის დასაწყისიდან შემდგომ პერიოდებში, კრემლის გავლენის ქვეშ მყოფი მედია აქტიურად აშუქებდა ისეთ შემთხვევებს, სადაც ჩანდა „ეთნიკურად რუსი მოსახლეობის დისკრიმინაცია“, ხოლო პარალელურად დეზინფორმაციული მესიჯების უმეტესობა ხაზს უსვამდა რუსულენოვანი მოსახლეობის „ფიზიკურ საფრთხესა“ და მათთვის „ქონების ჩამორთმევის“ მოსალოდნელ საშიშროებას.

- „უკრაინა ხელს უწყობს ანტისემიტიზმს და უკრაინელები ფაშისტები არიან“.

რუსეთის საინფორმაციო ომში, საერთაშორისო საზოგადოებისთვის უკრაინის მეოცე საუკუნის დროინდელი ფაშიზმის იდეოლოგიურ მემკვიდრედ გამოყვანა იქცა მთავარ მიზნად. ისინი ხშირად ადანაშაულებდნენ უკრაინელებს, დონეცკის სიახლოვეს, საკონცენტრაციო ბანაკების მშენებლობასა და ფაშისტური დაჯგუფებების შექმნაში. (Realpolitika.ge, 2022)

განხილული ნარატივები კიდევ ერთხელ მეტყველებს ფაქტზე, რომ რუსეთი ჯერ კიდევ 2014 წლიდან ცდილობდა შეექმნა მყარი საფუძველი დაპირისპირებისათვის და უკრაინის მიმართ საერთაშორისო საზოგადოებასა და მოქალაქეებში უნდობლობის განცდა გაეჩინა. თუმცა, მაშინ როდესაც უკრაინულმა მხარემაც აქტიურად დაიწყო დეზინფორმაციასთან ბრძოლა და საკუთარი კამპანია - დასავლეთისათვის ეჩვენებინა სინამდვილე, რუსეთმაც შეცვალა საკუთარი მეთოდები. უკვე 2022 წლისათვის, რუსეთმა უკრაინის ტერიტორიაზე საკუთარი შეჭრა, ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის მოტივითა და იმ საფრთხეების თავიდან აცილებით ახსნა, რომელიც ნატო-ს შესაძლო გაფართოებას და უკრაინის ევროპულ გაერთიანებებთან პარტნიორობას შეეძლო მოეტანა მისთვის. აქედან განსაკუთრებით გამოიკვეთა რამდენიმე მითი, რომელიც რუსეთმა გაავრცელა:

- უკრაინა აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრებ ეთნიკურად რუს მოსახლეობას ავიწროებს და აუცილებელია რუსეთმა დაიცვას საკუთარი ხალხი გენოციდისაგან.
- უკრაინელები დონბასის ოლქში ჩადიან სასტიკ დანაშაულებს.
- დონბასის ოლქში შესაძლებელია უკრაინულმა მხარემ გამოიყენოს ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა აკრძალული იარაღი.
- ნატო-ს გაფართოების გამო აღნიშნული კრიზისი უკრაინაში გამოიწვია დასავლეთმა და რუსეთი იძულებულია თავი დაიცვას მტრებისაგან.
- რუსეთი იცავს თავს დასავლეთისგან და არ აგებს პასუხს კონფლიქტზე.

აღნიშნულმა ნარატივებმა და მანიპულაციებმა განსაკუთრებით იმოქმედა რუსეთის მოქალაქეებზე და შედეგად, თითქმის ორჯერ გაიზარდა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის რეიტინგი საკუთარ მოსახლეობაში.

უკრაინისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ დეზინფორმაციასთან ბრძოლის მეთოდები:

მიუხედავად მცდელობებისა, რუსულმა საინფორმაციო ომმა უკრაინასთან მიმართებაში მარცხი განიცადა. ეს, პირველ ყოვლისა დაკავშირებული იყო იმ საპასუხო ნაბიჯებთან, რომლებიც ინტერნეტსივრცეში არსებულმა პლატფორმებმა და საერთაშორისო კომპანიებმა გადადგეს. მათ რუსეთთან თანამშრომლობა შეწყვიტეს, დროებით შეაჩერეს, გავიდნენ რუსული ბაზრიდან ან დააწესეს უმკაცრესი კონტროლი. მათ შორის იყო სოციალური ქსელების - Facebook და Instagram-ის მფლობელი კომპანია Meta-ს მიერ რუსეთში ოპერირების შეჩერება, რომელმაც მანამდე აგრეთვე უარი თქვა უკრაინული მხარის მიერ რუსი სამხედროების და პრეზიდენტის მიმართ

სიძულვილის ენის გამოხატულების აკრძალვაზე. (Theguardian, 2022) პრორუსული დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ფარგლებში, კრემლის მიერ კონტროლირებადი მედია არხები, სპეციალური ნიშნით გამოყო TikTok-მა, პარალელურად კი ევროკავშირის ტერიტორიაზე აიკრძალა პრორუსული RT და Спутник მაუწყებლობა, რომლებიც აგრეთვე დაბლოკა საერთაშორისო ვიდეო პლატფორმა YouTube-მაც. (Politico, 2022)

საერთაშორისო გამოხმაურებებისა და ევროპული სახელმწიფოების გადაწყვეტილებების კვალდაკვალ, რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის წარუმატებლობაში, მნიშვნელოვანი როლი უშუალოდ უკრაინამ და მის მიერ წარმოებულმა აქტიურმა სტრატეგიულმა კომუნიკაციამ ითამაშა. რაც პირველ ყოვლისა დაკავშირებული იყო უშუალოდ ქვეყნის პირველ პირთან, პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, პირდაპირ ესაუბრებოდა არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებსა და თანამემამულეებს, არამედ საერთაშორისო საზოგადოებას, რამაც, საბოლოოდ, უკრაინას, რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, უდიდესი მხარდაჭერა მოუტანა. კრემლის პროპაგანდის საპირწონედ, ზელენსკიმ საერთაშორისო მედიას კონფლიქტურ ზონაში მუშაობისათვის მეტი შესაძლებლობა მისცა, რათა კიდევ უფრო ნათელი ყოფილიყო ყველასათვის უკრაინაში რუსული სამხედრო დანაშაულების შესახებ. პარალელურად, დეზინფორმაციასთან საბრძოლველად, სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა უკრაინის მხარდასაჭერი ვიდეორგოლები, რომლის მთავარ მიზანს პრორუსული საზოგადოებისათვის კრემლის პროპაგანდის მხილება წარმოადგენდა.

ევროკავშირის ისტორიაში პირველად, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივაზე მიიღეს დათქმა, რაც წევრ სახელმწიფოებს, ერთი წლის ვადით, საგანგებო სიტუაციის დროს, აძლევდა შესაძლებლობას დაეწესებინათ ინდივიდუალური შეზღუდვები. ამან ლატვიას საშუალება მისცა დაებლოკა პრორუსული ნარატივის და დეზინფორმაციის გამავრცელებელი არხები და მედიასაშუალებები, პარლამენტმა კი აკრძალა რუსული სამხედრო სიმბოლოების Z და V გამოყენება. (ENG.lSM.lv Public broadcasting of Latvia, 2022)

რუსეთის აგრესიულმა საკომუნიკაციო კამპანიამ, რაც ძირითადად დეზინფორმაციისა და მცდარი ამბებიის გავრცელებით შემოიფარგლებოდა და რითაც უკრაინა ზარალდებოდა, დასავლეთი კი მტრულ და დაპირისპირებულ მხარედ წარმოჩინდებოდა, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საინფორმაციო სივრცეში გავრცელებულმა ომის კადრებმა და დანაშაულებმა გავლენა იქონია არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებაზე, არამედ ქვეყნის შიგნით, რუსეთის მოსახლეობაზეც, რასაც

ქალაქის ქუჩებში საპროტესტო აქციები და მოქალაქეების მიერ ქვეყნის დატოვებაც მოჰყვა.

დასკვნა

დასკვნის სახით, რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა ნათლად გვაჩვენა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იარაღია დეზინფორმაციის გავრცელება და ცრუ ინფორმაციის პროპაგანდა, მოწინააღმდეგე მხარის ფსიქოლოგიური დასუსტებისა და გავლენის მოსახდენად. 2014 წლიდან 2022 წლამდე, სხვადასხვა ინტენსივობით გადადგმული ნაბიჯებით, გავრცელებული ნარატივებითა და მოვლენების მიკერძოებული გაშუქებით, რუსეთი ცდილობდა შეექმნა მყარი საფუძველი შემდგომი აგრესიისათვის, რათა მისი მოქმედებები საკუთარ მოქალაქეებში შეფასებულიყო, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა. მიუხედავად წინა წლებში რუსული დეზინფორმაციის გარკვეული წარმატებისა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ყირიმის ანექსიისას, 2022 წელს, უკრაინის მიერ აქტიურად წარმოებული სტრატეგიული კომუნიკაციისა და საინფორმაციო ომში შემხვედრი ნაბიჯების განხორციელების ფონზე, იგივე მეთოდებმა დადებითი შედეგი ვეღარ აჩვენა. მიმდინარე კონფლიქტმა სრულიად შეცვალა საერთაშორისო პრაქტიკა ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლებისა და ადამიანის გამოხატვის შესაძლებლობის კუთხით, გამოაჩინა ახალი მეთოდები და მექანიზმები, როგორიცაა ყალბი ამბების გავრცელება, ტროლ-ბოტების აქტიურობა სოციალურ ქსელში და მიკერძოებული ნარატივი, რომელიც არა მხოლოდ აზიანებს მოწინააღმდეგე მხარეს, არამედ მთლიანად საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს.

გამოყენებული ლიტერატურა

DFRLab. (2022). “Russian outlets steadily increased claims that Ukraine will start a war” . *Medium*.

ENG.lSM.lv Public broadcasting of Latvia. (2022, February). Retrieved from Russian TV channels to be banned for years in Latvia: https://eng.lsm.lv/article/society/society/russian-tv-channels-to-be-banned-for-years-in-latvia.a445067/

Haynes, D. (2022). Russian disinformation seeking to frame Ukraine has “more than doubled” in past week. *sky news*.

Politico. (2022, march). Retrieved from YouTube bans Russian media outlets across Europe: https://www.politico.eu/article/youtube-bans-russian-media-outlets-across-europe/

Realpolitika.ge. (2022). *როგორ დაიწყო და ვითარდებოდა კრემლის საინფორმაციო ომი უკრაინის წინააღმდეგ*. Retrieved from Realpolitika.ge: https://realpolitika.ge/ge/longread/rogor-daitsyo-da-vitardeboda-kremlis-sainformatsio-omi-ukrainis-tsinaaghmdeg?fbclid=IwAR1QZo6-NMwweX0y7RDWE0K1mtan4_gQ8XOWTzFdH74ebzqfzO0K_QbPvns

Theguardian. (2022). Retrieved from Russia bans Facebook and Instagram under "extremism" law: https://www.theguardian.com/world/2022/mar/21/russia-bans-facebook-and-instagram-under-extremism-law

მედიის განვითარების ფონდი. (2022). *ანგარიში „რუსეთის ინფორმაციული ომი- 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან“.*